კომერციული ბანკების ლიკვიდობის პრობლემა კოვიდ-19 კრიზისის პერიოდში

თამარ ხოსიაური

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი, საბანკო და საფინანსო საქმე, ტურიზმის მენეჯმენტი): საბანკო და საფინანსო საქმე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნიკა მეგუთნიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

თამარ ხოსიაური

03.07.2021

აბსტრაქტი

კოვიდ-19-ით გამოწვეულმა კრიზისმა მოიცვა მთლიანად მსოფლიო და ეკონომიკა. ზოგადად კრიზისული მოვლენები ეკონომიკისთვის და შესაბამისად კომერციული ბანკებისთვის მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს. საბანკო სექტორის განვითარება, კომერციული ბანკების მიერ მიღებული მოგება, დაგროვილი კაპიტალისა და ლიკვიდობის საკმარისი ბუფერები, ბოლო წლების განმავლობაში განხორციელებული პოლიტიკა: ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული დამატებითი კაპიტალის მოთხოვნა, ლიკვიდობის გადაფარვისა და წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტების დაწესება, მნიშვნელოვანი ბერკეტებია, კრიზისის დასაძლევად და კომერციული ბანკების ადეკვატური ლიკვიდობის შესანარჩუნებლად.

კვლევის მიზანი იყო, შეგვესწავლა კოვიდ-19-ით გამოწვეული კრიზისის გავლენა საქართველოში მოქმდი კომერციული ბანკების ლიკვიდობაზე .

ნაშრომში საკვლევი თემის შესასწავლად გამოყენებულია შერეული მეთოდი. პირველი არის მეორადი მონაცემების ანალიზი. აღნიშნული მეთოდი გამოვიყენე რამდენიმე მეთოდოლოგიური უპირატესობის გამო. კვლევები, რომლებიც ჩატარებულია საქართველოს ეროვნული ბანკის და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ სანდო და ზუსტია, რაც რეპლიკაციის შესაძლებლობას იძლევა. მეორადმა მონაცემებმა მოგვცა საბოლოო კვლევისთვის ბევრი საჭირო ინფორმაცია, რაც ჩვენთვის არ იყო ხელმისაწვდომი. მეორე მეთოდი ეს არის რაოდენობრივი კვლევა, რაც ითვალისწინებს რაოდენობრივ აღწერას. პირველ რიგში, დამუშავდა ბანკების კვარტალური პილარ 3-ის საფუძველზე შემდეგი ბანკების: სს საქართველოს ბანკის, სს თიბისი ბანკის, სს ლიბერთი ბანკის, სს კრედო ბანკის, სს პაშა ბანკის ფინანსური მონაცემები. აღნიშნულმა კვლევამ საშუალება მოგვცა დაგვენახა და შეგვეფასებინა, თუ რა რეალური შედეგი ჰქონდა კრიზის ბანკების ფინანსურ მაჩვენებლებზე.

საბოლოოდ, კვლევის საფუძველზე გამოვლინდა, რომ კოვიდ-19-ით გამოწვეულმა კრიზისმა მყისიერი ასახვა ჰპოვა ქვეყანის სოცილაურ - ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ამას ადასტურებს მშპ შემცირებაც, 2020 წელს 2019 წელთან შედარებით მშპ შემცირებულია დაახლოებით 220%-ით. შექმნილი კრიზისული მდგომარეობა ყველა კომერციული ბანკისთვის გარკვეულწილად საფრთხის შემქმნელი აღმოჩნდა. განსაკუთრებით საყურადღებოა 2020 წლის პირველი ორი კვარტალი, შემცირებულია წმინდა მოგება, ლიკვიდობის კოეფიციენტები, ROE, ROA, სესხების ზრდის ტემპი და გაზრდილია არასასურველი სესხების დონე. მიუხედავად ამისა, საბანკო სექტორი კარგად მომზადებული შეხვდა კრიზისულ მდგომარეობას და არცერთ კომერციულ ბანკს არ შექმნია ლიკვიდობის პრობლემა, განსხვავებით პოლონეთის საბაკო სექტორისგან, სადაც საჭირო გახდა Idea Bank SA საბოლოო რესტრუქტურიზაცია.

ძირითადი საძიებო სიტყვები: covid-19-ით გამოწვეული კრიზისი, კომერციული ბანკების ლიკვიდობა, საბანკო სექტორი

Abstract

The crisis caused by Covid-19 covered the whole world and the economy.General crisis events is a necessary threat to the economy and therefore to the commercial bank.Development of the banking sector, profits earned by commercial banks, sufficient buffers of accumulated capital and liquidity, policies implemented in recent years: demand for additional capital imposed by the National Bank, establish Liquidity Coverage Ratio and Net stable funding ratio are important levers to Overcoming crisis situations and the liquidity problem of commercial banks.

The Purpose of research was, study the impact of the covid-19 crisis on the liquidity of commercial banks which operating in Georgia.

In the paper used a mixed method to explore the research topic. The first is the analysis of secondary data. I used this method because of several methodological advantages. The secondary data provided by the National Bank of Georgia and the National Statistics Office of Georgia are reliable and accurate, which allows for replication. The secondary data gave us a lot of information needed for the final purpose that was not available to us.The second is quantitative research, which provides a quantitative description. At first, based on the quarterly Pilar 3 processed financial data of Tthe following banks: JSC Bank of Georgia, JSC TBC Bank, JSC Liberty Bank, JSC Credo Bank, JSC Pasha Bank. This study allowed us to see and evaluate the real impact on the financial indicators of crisis banks. This reasearch allowed us to see and evaluate, what was the real effect of the crisis on the bank financial indicators.

Finally, the research found that the crisis caused by COVID-19 had an instantaneous impact on the socio-economic situation of the country, this is confirmed by the decline in GDP, which in 2020 compared to 2019 will be reduced by about 220%. The current crisis situation regardless of the commercial bank scale was somewhat threatening. Especially noteworthy are the first two quarters of 2020, with declining net income, liquidity ratios, ROE, ROA, the growth rate of loans and increased NPL. Nevertheless, the banking sector was well prepared to meet the crisis situation and none of the commercial banks created a liquidity problem, on contrast to the Polish banking sector, where the final restructuring of Idea Bank SA.

Keywords: covid-19 crisis, liquidity of commercial banks, banking sector

მადლობა

პირველ რიგში, მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორს - ბატონ ნიკა მეგუთნიშვილის გაწეული დახმარებისთვის, რჩევისთვის და დათმობილი დროისთვის.

ასევე, მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს ვინც მეხმარებოდა, ხელს მიწყობდა და მორალურად იდგნენ ჩემს გვერდით ამ პერიოდის განმავლობაში.